



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია: კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულო სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

თებერვლის თვის აქტივობები

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი

უკრაინა და საქართველოს დასავლური ორიენტაცია ქართული ულტრამემარჯვენე პრორუსული ჯგუფების სამიზნეობის.....	2
DRI: ომის პროპაგანდისტვის პასუხისმგებლობა უნდა გამკაცრდეს.....	2
ულტრამემარჯვენე ჯგუფების პრორუსული დისკურსი რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.....	3
„ალტ-ინფოს“ პოლიტიკური წარმონაქმნის დაფინანსების წყაროები უცნობია.....	3

ადამიანის უფლებები

DRI: ხელისუფლებას მშვიდობიანი პროტესტის თემის ვალდებულება აქვს.....	4
---	---

კონფლიქტები

DRI-მ ოკუპირებული ტერიტორიებზე მუშაობის ერთი წლის ანგარიში წარადგინა.....	4
DRI-ის თვალსაზრისი: რას მოასწავებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის რუსული კანონმდებლობით რეგულირება აფხაზეთში?.....	5
DRI-ის თვალსაზრისი: რუსული „რბილი ძალა“ და მეხსიერებით მანიპულაციები გალის რეგიონში.....	6
„უცნობი“ ტრაგედიების გააზრება.....	6

ეროვნული უსაფრთხოება

ანტიკორუფციული სააგენტო - სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.....	7
DRI-ის კვალიციური საქმიანობა.....	8

უკრაინა და საქართველოს დასავლური ორიენტაცია ქართული ულტრამემარჯვენე პრორუსული ჯგუფების სამიზნეში

თებერვალში უკრაინაზე სამხედრო თავდასხმის ფონზე, საქართველოში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ულტრამემარჯვენე ფლანგის მკვეთრად პრორუსული ფრთის გააქტიურება. ულტრამემარჯვენე ძალები ცდილობდნენ უკრაინაში მიმდინარე ომი ქართულ საზოგადოებაში ნატოს წინააღმდეგ სკეპტიკური განწყობების გასაღვივებლად და დასავლეთისგან სრული დისტანცირების საჭიროების საილუსტრაციოდ გამოეყენებინათ.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ ღიად კრემლისტური ძალების პროპაგანდა მიზნად ისახავს საქართველოს დასავლური კურსის ცვლილებას და ქვეყნის ჩართვას რუსეთის მიერ მხარდაჭერილ საერთაშორისო პლატფორმებში.

DRI: ომის პროპაგანდისთვის პასუხისმგებლობა უნდა გამკაცრდეს

24 თებერვლიდან დღემდე, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის ფონზე, სამაუწყებლო კომპანია „ალტ ინფოს“ ეთერში განსაკუთრებით აგრესიულად ვრცელდებოდა მკვეთრად პრორუსული და პროკრემლისტური ნარატივები. სხვა არაერთი ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საქართველოს სამაუწყებლო ეთერებში რუსეთის მიერ წამოწყებული ომს ჯერ კიდევ ამართლებენ.

რუსული პროპაგანდისტული ნარატივის გავრცელებისგან დაცვა და მისი საფრთხედ აღქმა, დასაშვებია საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 17.2, 17.5). „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი ნებისმიერი სახის ომის პროპაგანდას კრძალავს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ომის პროპაგანდის შემთხვევაში, თვითრეგულირების მექანიზმი არაეფექტიან საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

შესაბამისად, DRI-იმ მოუწოდა: საქართველოს პარლამენტს - დაუყოვნებლივ დაიწყოს საკანონმდებლო მუშაობა მტრული სახელმწიფოს ომის პროპაგანდის შემთხვევაში ეფექტიანი სანქციების პაკეტის შესამუშავებლად; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს - გამოავლინონ მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და მიიღონ შესაბამისი ზომები საქართველოში კრემლის პროპაგანდისტული მედიების ტრანსლაციის შესაზღუდად.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების პრორუსული დისკურსი
რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

2022 წლის 15 მარტს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე ჯგუფების დეზინფორმაციული რიტორიკის ანალიზის მიზნით, სოციალური მედიის მონიტორინგის [ანგარიში](#) გამოაქვეყნა, სადაც 2022 წლის იანვარ-თებერვალში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგები შეაჯამა. საანგარიშო პერიოდში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სოციალურ და ონლაინ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული შინაარსის მქონე 450 შემთხვევა გააანალიზა.

ანგარიშში განხილულია ულტრამემარჯვენე ლიდერების პოლიტიკური შეფასებები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. ღიად პრორუსული განწყობის მქონე პოლიტიკური სუბიექტები საინფორმაციო ომს აწარმოებენ კოორდინირებული ქსელის საშუალებით, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა ფეისბუქჯგუფები და გვერდები.

საინფორმაციო ომში, ძირითად კრემლისტურ ულტრამემარჯვენე პლატფორმას წარმოადგენს „ალტ-ინფო“, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პარტია

„კონსერვატიულ მოძრაობასთან“. ომის ფონზე, „ალტ-ინფო“ საგანგებო ეთერში ავრცელებს პრორუსულ ნარატივებს, რაც შემდგომ ფეისბუქ აუდიტორიაში „კონსერვატიულ მოძრაობასთან“ დაკავშირებული შიდა ჯგუფებისა და გვერდების მეშვეობით ვრცელდება. კოორდინირებული მოქმედებით „ალტ-ინფო“ უზრუნველყოფს საკუთარ მიმდევრებს შორის დეზინფორმაციის სწრაფ და სტაბილურ გავრცელებას.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით, „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ მიერ პროპაგანდისტული მედიაკამპანიის წარმოებისთვის საჭირო ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა ყალბი კონტენტი და მანიპულაციური ფოტო- და ვიდეომასალა, საფრთხის შემცველია. შესაბამისად, მათი საქმიანობისა და ფინანსური რესურსების შესწავლა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს სახელმწიფოსთვის.

„ალტ-ინფოს“ პოლიტიკური წარმონაქმნის
დაფინანსების წყაროები უცნობია

2022 წლის 23 მარტს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგის პირველადი [ანგარიში](#) გამოაქვეყნა. ანგარიშში განხილულია „კონსერვატიული მოძრაობის“ საქმიანობის შესწავლის პირველადი შედეგები.

„კონსერვატიული მოძრაობა“ ულტრამემარჯვენე ღიად პრორუსული „ალტ-ინფოს“ პოლიტიკური წარმონაქმნია. მისი საშუალებით ულტრამემარჯვენე დაჯგუფება, რომელიც საზოგადოებაში

თავდაპირველად ტელევიზიის ფორმით გამოჩნდა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას ცდილობს. პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში არიან ირაკლი მარტინენკო, ირაკლი მორგოშია, გიორგი ქარდავა და ვასილ გვალია. „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები 2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები არიან.

ინფორმაცია „კონსერვატიული მოძრაობის“ ფინანსების შესახებ დიდი ხნის განმავლობაში ხელმისაწვდომი არ იყო. გიორგი ქარდავას თქმით, „ალტ-ინფოსა“ და ახლა უკვე „კონსერვატიულ მოძრაობას“ დიდწილად კონსტანტინე მორგოშია აფინანსებს, თუმცა ინფორმაცია მორგოშიას მიერ პარტიის დაფინანსების შესახებ ოფიციალურად ხელმისაწვდომი არ არის. ოფიციალურად გამჟღავნებული შემოწირულებები კი არ შეიძლება საკმარისი იყოს უკვე გახსნილი ოფისების ქირის, თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა ხარჯების გასასტუმრებლად.

DRI: ხელისუფლებას მშვიდობიანი პროტესტის თემის ვალდებულება აქვს

2022 წლის 7 მარტს, უკრაინაში მიმდინარე ომის მეთერთმეტე დღეს, თბილისში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს რუსული მილიტარისტული პოლიტიკის საწინააღმდეგო აქციის მონაწილე აქტივისტები.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეთა დაკავება წინ უსწრებდა პოლიციელებისთვის ფქვილის შეყრის ფაქტს. შესაბამისად, არგუმენტი, რომ აქციის ორგანიზატორების ქმედება გასცდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, საფუძველს მოკლებულია.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ არამძალადობრივი აქციის მონაწილეების პოლიციის გაძლიერებული შემადგენლობით და ძალადობრივი ფორმებით დაკავება კანონშეუსაბამოა. საგანგაშოა ისიც, რომ რუსეთისა და ბელორუსის შემდეგ საქართველო მესამე ქვეყანაა, სადაც უკრაინის მხარდასაჭერი და რუსული აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული აქციის მონაწილეები დააკავეს.

DRI-მ ოკუპირებული ტერიტორიებზე მუშაობის ერთი წლის ანგარიში წარადგინა

11 მარტს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ანგარიშის „ადამიანის უფლებები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში“ პრეზენტაცია გამართა.

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2021 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული ყველა მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხი.

ერთი წლის მუშაობის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების შესამსუბუქებლად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა საქართველოს ხელისუფლებას მიმართა:

- გააქტიუროს დიპლომატიური ძალისხმევა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევის ფაქტების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების პროაქტიული ინფორმირების მიზნით
- საერთაშორისო მოლაპარაკებათა დღის წესრიგში დადგეს რეგიონში ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი მხარის (რუსეთის ფედერაციის) საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი, მათ შორის, საერთაშორისო სანქციების გამოყენების გზით
- გაძლიერდეს უსაფრთხოების ზომები ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში, საქართველოს მოქალაქეების უკანონო გატაცების პრევენციის მიზნით
- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების ხელყოფის კუთხით არსებული რთული ვითარების გამო, საჭიროა საქართველოს ხელისუფლების მუშაობა გახდეს პროაქტიული და ძირითადი რისკების საპასუხოდ შემუშავდეს სამოქმედო გეგმები
- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის დასახმარებლად, დამატებით შეიქმნას განსაკუთრებული მხარდამჭერი მექანიზმები.

DRI-ის თვალსაზრისი: რას მოასწავებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის რუსული კანონმდებლობით რეგულირება აფხაზეთში?

აფხაზეთის პოლიტიკაში ცვლილებების მომასწავებელი პირველ რიგში დე-ფაქტო მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მოსკოვში, პუტინის კარზე გამოცდილება-მიღებული საგარეო საქმეთა მინისტრის ინალ არძინბას დანიშვნა იყო. რუსეთთან ამა თუ იმ სახის კავშირი აფხაზეთ ე.წ. მთავრობაში დაწინაურებისთვის თუ პოზიციის მოპოვებისთვის ყოველთვის სასარგებლო იყო - ეს ნიშნავდა საჭირო კავშირების ქონას.

ახლა, როდესაც აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობამ როგორც ჩანს, უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა საკანონმდებლო სახე მისცეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შემზღუდველ რუსულ სარეგულაციო ჩარჩოს, რომელსაც „უცხოეთის აგენტების“ სახელით ვიცნობთ, გასაგები ხდება ის რისკები, რაც მსგავს შემთხვევაში წამოიჭრება აფხაზეთისთვის, განსაკუთრებით რუსეთზე მისი დამოკიდებულების ზრდის თვალსაზრისით.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ფედერაციის კარნახით აფხაზეთის ამჟამინდელი დე-ფაქტო მთავრობის და მისი საგარეო საქმეთა მინისტრის ამოცანა არაა უბრალოდ ქართულ-აფხაზეთური სამოქალაქო დიალოგის გადაფორმატება ან აღკვეთა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება იყოს აფხაზეთის და დანარჩენი საქართველოს დამაკავშირებელი კიდევ ერთი სუსტი ძაფის გადაჭრა, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და დიალოგი ქმნის.

აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის ეს ნაბიჯები აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებას კიდევ უფრო ზრდის და ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის რეგიონის რუსეთში ინტეგრირებისთვის ამ პროცესისთვის წინააღმდეგობის გამწევი პოტენციური აქტორების განეიტრალების თვალსაზრისით.

DRI-ის თვალსაზრისი: რუსული „რბილი ძალა“ და მეხსიერებით მანიპულაციები გალის რეგიონში

იმ ფონზე, როდესაც აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო მასთან თანხმობის გარეშე განხორციელებული საქმიანობის შეჩერებით ემუქრება აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რუსეთის ფედერაციის აფხაზეთში უკანონოდ მოქმედი წარმომადგენლობა საქველმოქმედო და ჰუმანიტარული მიმართულებებით აქტიურობს. მათი საქმიანობა გალის რეგიონსაც ეხება.

როგორც ბოლო დროინდელი მოვლენებიდან ჩანს, რუსეთის ფედერაციის უკანონო წარმომადგენლობა აფხაზეთში, შეიძლება დარჩეს ერთადერთ „საერთაშორისო“ ძალად, რომელიც გალში ჰუმანიტარული მისიით იმოქმედებს და ასე შენიღბავს აფხაზეთის ანექსიაზე მიმართულ რუსულ სტრატეგიას.

თუკი, აფხაზეთის მოქმედი დე-ფაქტო ხელისუფლება აცნობიერებს იმ რისკებს, რასაც რუსეთი ასეთი თამაშით ქმნის, მას აუცილებლად მოუწევს გალის რეგიონის მიმართ თავისი მიდგომების გადახედვა. ეს კი მოითხოვს სამოქმედო სივრცის გახსნას საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და სამოქალაქო სექტორისთვის, რათა „გულების მოგების“ პოლიტიკა ექსკლუზიურად რუსული არ იყოს, და ამით გალის რეგიონის მცხოვრებლების ნდობაც მოიპოვოს. უფრო ფართო კონტექსტში, ეს „გადახედვა“ გალის რეგიონის ე.წ. პასპორტიზაციის და უფლებრივი დისკრიმინაციის მოხსნის საკითხსაც უნდა შეეხოს.

„უცნობი“ ტრაგედიების გააზრება

დღეს ბევრი თანხმდება იმაზე, რომ წარსულის კრიტიკული გადახედვის გარეშე კონფლიქტების ტრანსფორმაციასა და შერიგებაზე საუბარი ზედმეტია. იმაზე, რამდენად ვიტყვიტ უარს ისტორიის შელამაზებაზე და ვალიარებთ საკუთარ შეცდომებსა თუ დანაშაულებს, ბევრადაა დამოკიდებული მთლიანად ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფოს მომავალი.

დღეს ჩვენ, ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა გაცილებით მეტი ვიცით, რა ხდება ან მოხდა შორეულ ქვეყნებში, ვიდრე ერთმანეთის შესახებ, თუნდაც ახლო წარსულში მომხდარ ტრაგედიებზე.

თითქმის სამი ათეული წელია გასული ომის დროს მომხდარი დანაშაულებიდან, და ახლა მაინც უნდა გავაცნობიეროთ ამ თარიღების მნიშვნელობა.

ძარის და ერედვის ტრაგედიები ოსებისთვის ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ფურცელია, ისევე, როგორც აფხაზებისთვის ლათის ტრაგედია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიის უმძიმესი ეპიზოდია.

უდანაშაულო ადამიანების ხსოვნა გვავალდებულებს გადავდგათ ნაბიჯები სიმართლის გასარკვევად. უდანაშაულო მსხვერპლის მიმართ პატივის მიგება დაგვეხმარება ნდობის აღდგენის პროცესის წარმართვაში.

ანტიკორუფციული სააგენტო - სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები

18 მარტს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა [ანგარიშის](#) „ანტიკორუფციული სააგენტო - სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები“ პრეზენტაციას გამართა.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის - ანტიკორუფციული სააგენტოს საქმიანობის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რამდენადაა კავშირში სააგენტოს მიერ გამოძიებული საქმეები სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია სამსახურის მიერ სამუშაო მიმართულებასთან შეუსაბამო საქმეების გამოძიებასა და სხვადასხვა უწყებებს შორის კომპეტენციათა დუბლირებაზე.

ორგანიზაციის შეფასებით, მიზანშეწონილია:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის საგამოძიებო (განსაკუთრებით კორუფციული დანაშაულის გამოძიების) უფლებამოსილების სრულად ჩამორთმევა და საქართველოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბებაზე მუშაობის გაგრძელება
- შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელებამდე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს მიაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ქმედებების გამოძიებით, რომლებიც რეალურად რისკის შემცველია სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინტერესებისათვის.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მარტში DRI-ის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით ექვსი ერთობლივი მიმართვა და განცხადება გავრცელდა. მიმდინარე თვეს აქტუალური იყო ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხები.

DRI-ის ინიციატივით მომზადდა [სამოქალაქო საზოგადოების მიმართვა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარებული პროცედურის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ](#). DRI გამოეხმაურა [ევროკავშირში წევრობაზე განაცხადის შეტანას](#) და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შეუერთდა ინიციატივას - [10 ნაბიჯი ევროპის კავშირში გაწევრების გზაზე](#).

DRI-იმ ერთობლივი განაცხადით [მიმართა საზოგადოებრივ მაუწყებელს](#), „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, აქტიურად გააშუქოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხები. კიდევ ერთ ერთობლივ [მიმართვაში](#) საქართველოს ხელისუფლების მიმართ, DRI-იმ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოუწოდა ხელისუფლებას, ქმედითი ნაბიჯები გადადგას უკრაინიდან ლტოლვილების ორგანიზებულად მისაღებად და უკვე საქართველოში მყოფი ლტოლვილების მხარდაჭერის სისტემური პოლიტიკა შეიმუშაოს.

DRI პარტნიორ ორგანიზაცია დემოკრატიის ინდექსთან ერთად [გამოეხმაურა](#) „ქართული ოცნების“ მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში დავის წამოწყებას და პოლიტსაბჭოს განცხადებაში მითითებულ დავას პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის და კომპეტენციათა გამოჯვნის შესახებ, სამართლებრივად უსაფუძვლო და უპერსპექტივო უწოდა.